ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 13 მაისის მორიგი სხდომის
ოქმი N 9

2021 წლის 13 მაისი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

ხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

ხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

პაატა გოგოლაძე, დავით კიკნაძე, გივი თხელიძე, მალხაზი ფხალაძე, აკაკი ლურსმანაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, ეკატერინე შველიძე, იამზე პაქსაშვილი, ბუსუდან გიორგაძე, ლენა აბაშიძე, ნონა ზურაბიანი, დოდო ხაჩიძე, შალვა ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, ვახტანგ ტალახაძე, იულონ კოპაძე, ჯამბულ ამცემლიძე, ნიკოლოზ მაღრაძე, გივი თავზარაშვილი, იუზა კელენჯერიძე, ბესიკ ალახაძე, ზურაბ ხაჩიძე, აკაკი მაჭავარიანი, ქეთევან ზუმბაძე, თორნიკე ავალიშვილი ულ26 წევრი

ხდომას ესწრებოდნენ:

ერიის წარმომადგენლები:

ორლამ ჭიპაშვილი მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ავით დევდარიანი მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - ბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების რთვის სამსახურის განყოფილების უფროსი სამსახურის უფროსის მოვალეობის მსრულებელი.

ტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და თილმოწყობის სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის ვალეობის შემსრულებელი.

კრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ ითხებში

ინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ალარიქაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ურნალისტი ,

შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან რთიერთობის განყოფილების სპეციალისტი

გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს ჟურნალისტი

ბლუნჩაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ბთიერთობის განყოფილების ოპერატორი

ისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან რებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის რველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის იაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

ხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება, დღის წესრიგის ამტკიცების შესახებ

ენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი

ომხრე 26

ინააღმდეგი 0

ღის წესრიგი დამტკიცებულ იქნა (თან ერთვის)

ოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პეტრე შარიქაძის რიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ილმოწყობის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სამსახურის ანგარიში განხილული იქნა კომისიის სხდომაზე, განხილვა მოხდა საქმიან ვითარებაში, იყო კამათიც, ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამსახურის საქმიანობაში შეინიშნება დადებითი ძვრები, წინა წელს დაუსრულებელი პროექტების უმეტესობა დასრულდა, თუ წინა პერიოდში არ ხდებოდა გაზრის კვლევა და ტენდერები იშლებოდა ახლა მდგომარეობა გამოსწორებულია და 18 პროექტზე გამოცხადდა ტენდერი და ყველა ტენდერი, რომელიც გამოცხადდა შედგა, შესრულდა წინა წელს შეუსრულებელი პროექტები, გამოსწორდა სამსახურსა და საკრებულოს შორის კომუნიკაცია, თანამშრომლობა, რა თქმა უნდა არის ნაკლოვანებები მაგრამ სამსახურის საქმიანობა გააქტიურებულია, არის იმედის მომცემი ძვრები წინა წელთან შედარებით , ვიმედოვნებ, რომ სამსახური მაქსიმალურად შეეცდება დაგეგმილი პროექტების ხარისხიანად და დროში შესრულებას.

თ. ავალიშვილმა ყურადღება გაამახვილა წინა წლებში უხარისხოდ შესრულებულ ამუშაოებზე,სადაც გაიხარჯა სოლიდური თანხა, მაგრამ პრობლემა ვერ გადაიჭრა ერძოდ : წყლის პრობლემა სოფელ თეთრაწყაროში ვეფხვაძეების უბანში, ღორეშის ზა, რომელიც უკვე დაზიანებულია, წყალაფორეთის გზა, დაბაში ღია ესტრადა, ომელზედაც დაიხარჯა ნახევარი მილიონი და დღეს ამ თანხით შესრულებული ამუშაოების დემონტაჟი მოხდა, ვინ აგებს პასუხს?

. შარიქაძემ, მომხსენებელმა უპასუხა, რომ ესტრადა გადაეცა მერიის ქონების მართვის ამსახურს, დემონტაჟი გაუკეთდა დაზიანებულ ნაწილებს.

გოგოლაძემ აღნიშნა, რომ დემონტაჟი ღია ესტრადაზე უსაფრთხოების დაცვის აზნით მოხდა, ჭერი ჩამოღებული იქნა, რადგან შეიძლება ჭერის ჩამოვარდნის ემთხვევაში დაზიანება მიეღო მოქალაქეებს.

. ავალიშვილი დაეთანხმა პ. გოგოლაძის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და აღნიშნა, ომ პასუხი მიღებულია და მისთვის გასაგებია.

ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ესტრადის დემონტაჟი არ მომხდარა ,უსაფრთხოებიდან მომდინარე ჩატარდა გარკვეული ღონისძიებები და მოგვარდა შენობის მოვლა - ტრონობის საკითხები.

მაღრაძემ აღნიშნა, რომ მარელისში ცისკაძეების უბანში გზა კეთდება, დარჩენილია 0 მეტრი, რომელიც პროექტით არ არის გათვალისწინებული, თუ არის აძლებლობა, რომ მოხდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის მოძიება და გზა სრულდეს ბოლომდე.

ფხალაძემ, კომისიის სახელით დასვა წინადადება სამსახურის საქმიანობის დებითად შეფასების თაობაზე.

აბაშიძემ მადლობა გადაუხადა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს ეული საქმიანობისათვის.

საკითხის განხილვის მიმდინარეობისას საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარის თორნიკე ავალიშვილის მხრიდან მერის პირველ მოადგილესთან ვარლამ ჭიპაშვილთან მოხდა ინციდენტი - ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება, (ხელით შეხება) სიტუაციის განმუხტვის მიზნით საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ჩართვის შემდეგ ასევე თორნიკე ავალიშვილის მიერ მოხდა მის მიმართ ფიზიკური დაპირისპირება (ხელით შეხება) რასაც მოჰყვა აღშფოთება საკრებულოს ცალკეულ წევრებს შორის. საკრებულოს თავმჯდომარის მიერ დროულად იქნა აღკვეთილი შექმნილი მდგომარეობა და სხდომა გაგრძელდა ჩვეულ რეჟიმში.

ზემოთ აღნიშნული ინციდენტის შესახებ ვიდეო მასალა ინახება მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის წინადადება - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი

მომხრე 24

ოავი შეიკავა 2

ინააღმდეგი 0

ოკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო ასახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე -**ხარაგაულის იციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის პირველი ბეტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ნ ერთვის).**

ოდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ორმაციის ცნობად მიღების თაობაზე

კრებულომ განკარგულება მიიღო ცნობად კენჭის ყრის გარეშე (თან ერთვის)

ისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების რთვის სამსახურის განყოფილების უფროსის, სამსახურის უფროსის მოვალეობის ბსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის ნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/11 განკარგულებაში ერაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო**

ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი
მომხრე 26
წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 09 მარტის N50/12 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 26 წევრი
მომხრე 26
წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის)

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**